ISFED
1995 წლიდან
სამართლიანი არჩევნებისა
და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება

საქართველოს პოლიტიკური პარტიების

ფინანსები

2025 წელს

სარჩევი

1. შესავალი 2

2. ძირითადი მიგნებები 3

3. პოლიტიკური პარტიების შემოსავლები 5
   - 3.1. შემოსავლების სამართლებრივი რეგულირება 5
   - 3.2. 2025 წლის შემოსავლების ოდენობა და წყაროები 7
   - 3.3. საწევრო შენატანები 10
   - 3.4. შემოწირულებები 10
   - 3.5. სახელმწიფო დაფინანსება 13
   - 3.6. სხვა შემოსავლები 14

4. პოლიტიკური პარტიების ხარჯები 15
   - 4.1. ხარჯების საკანონმდებლო რეგულირება 15
   - 4.2. 2025 წლის ხარჯების ოდენობა და სტრუქტურა 16
   - 4.3. რეკლამის ხარჯები 19
   - 4.4. სხვა ხარჯები 21

1. შესავალი

თანამედროვე პოლიტიკაში ფინანსები დიდ როლს თამაშობს და ის მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს პოლიტიკური პროცესების დინამიკას, მასშტაბებსა და არჩევნების შედეგებს. ერთი მხრივ, ის უზრუნველყოფს პოლიტიკური კონკურენციის სიცოცხლისუნარიანობას, ხოლო მეორე მხრივ, წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტისა და პოლიტიკური კორუფციის რისკებს. შესაბამისად, ფულისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართება მუდმივი ბალანსის ძიებაა ეფექტიან მართვასა და დემოკრატიულ თანასწორობას შორის, სადაც მთავარი გამოწვევა იმის უზრუნველყოფაა, რომ ფინანსურმა შესაძლებლობებმა მოქალაქეთა თავისუფალი ნება არ დაჩრდილოს.

ქართული პოლიტიკაც არ არის გამონაკლისი და ფინანსური და სხვა ტიპის რესურსები ყოველთვის დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე, რითაც ეს საკითხი დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს. ვინაიდან საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკაა, პოლიტიკაში გადამწყვეტ როლს პოლიტიკური პარტიები თამაშობენ, შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების ფინანსების შესწავლა მნიშვნელოვანია.

საქართველოს კანონმდებლობით, ყველა რეგისტრირებული პარტია ვალდებულია, ყოველი წლის 1 თებერვლამდე შესაბამის სახელმწიფო უწყებას წარუდგინოს წლიური ფინანსური დეკლარაცია, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს, პარტიის მიერ წინა წელს მიღებული შემოსავლები, გაწეული ხარჯები და აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია. 2025 წელს ანტიკორუფციული ბიურო იყო ის სახელმწიფო უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იყო პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგსა და ზედამხედველობაზე, თუმცა 2025 წელს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, 2026 წლის მარტიდან ანტიკორუფციული ბიურო გაუქმდა და მისი ფუნქციები სახელმწიფო აუდიტის სამსახურს სრულად გადაეცა.[1] 2025 წელს ანტიკორუფციულ ბიუროში წლიური შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაცია 44-მა პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა, თუმცა მათ შორის ფინანსური ბრუნვა მხოლოდ 25 პარტიას გააჩნდა. წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს 2025 წლის განმავლობაში საქართველოში პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის ანალიზს, მათ შორის შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის, დაფინანსების ძირითადი წყაროების, რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და არსებული სამართლებრივი ჩარჩოს პრაქტიკაში განხორციელების შეფასებას. ანგარიში ეფუძნება პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილ წლიურ საფინანსო დეკლარაციებსა და საჯაროდ ხელმისაწვდომ ოფიციალურ მონაცემებს.

2025 წელი იმ მხრივ იყო გამორჩეული, რომ 4 ოქტომბერს ქვეყნაში მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები ჩატარდა, რომელში მონაწილეობაც ოპოზიციური პარტიების მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ მიიღო. ამ გარემოებამ პარტიების ფინანსებზე არაერთგვაროვანი გავლენა მოახდინა.

დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პარტიულ ფინანსებში არსებული ძირითადი ტენდენციების გამოვლენას, მათ შორის დაფინანსების კონცენტრაციას, შემოსავლების წყაროების დივერსიფიკაციას, ხარჯვის პრიორიტეტებსა და ორგანიზაციული რესურსების განაწილებას. ასევე, შეფასებულია ის გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს პარტიებს შორის ფინანსურ შესაძლებლობებზე და, საბოლოოდ, პოლიტიკურ კონკურენციასა და დემოკრატიული პროცესების ხარისხზე.

[1] საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს პარლამენტი, 17.12.2025, დოკუმენტის ნომერი: 1315-IVმს-XIმპ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/6699170?publication=0#DOCUMENT:1;

ანგარიშის მიზანია, საზოგადოებასა და დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს ფაქტებზე დაფუძნებული ანალიზი პოლიტიკური ფინანსების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ და ხელი შეუწყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული საჯარო დისკუსიის წარმართვას, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას, ასევე შესაბამისი პოლიტიკის გაუმჯობესებას.

2. ძირითადი მიგნებები

2025 წლის წლიური შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაცია ანტიკორუფციულ ბიუროში 44-მა პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა, თუმცა მათ შორის ფინანსური ბრუნვა მხოლოდ 25 პარტიას გააჩნდა. 21 პოლიტიკურ გაერთიანებას გასული წლის განმავლობაში საერთოდ არ ჰქონია შემოსავალი, ხოლო 19-ს - ხარჯი.

პოლიტიკური პარტიების 2025 წლის შემოსავლები

- პოლიტიკური პარტიების ჯამურმა შემოსავალმა 2025 წელს დაახლოებით 49 მლნ ლარი შეადგინა. შემოსავლების მთავარ წყაროს კვლავ შემოწირულებები წარმოადგენდა, რომელზეც პარტიების ჯამური შემოსავლების 55% მოდიოდა; სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსების წილმა 18% შეადგინა, ხოლო სხვა შემოსავლების წილმა - 27%; საწევრო შენატანების წილი, რომელიც მხოლოდ ერთმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ („კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“) მიიღო, უმნიშვნელო იყო - მხოლოდ 0.01%.
- პოლიტიკურ ფინანსებზე არათანაბარი წვდომა 2025 წელსაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა. „ქართულმა ოცნებამ“ გასული წლის განმავლობაში უფრო მეტი შემოსავალი (26.5 მლნ ლარი) მიიღო, ვიდრე ყველა სხვა პოლიტიკურმა პარტიამ ერთად (22.5 მლნ ლარი). ამასთან ერთად, ცალკეული ოპოზიციური პარტიების შემოსავლები ერთჯერად ოპერაციებზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, შემოსავლების ოდენობით (9.4 მლნ ლარი) რიგით მეორე პარტიამ - „ერთიანობა - ნაციონალურმა მოძრაობამ“ - შემოსავლების 95% ქონების, ოფისის, გაყიდვიდან მიიღო. მსგავსად, ოფისის გაყიდვიდან იქნა შევსებული „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ 2025 წლის მთლიანი შემოსავალი (1.5 მლნ ლარი).
- ოპოზიციური პარტიების მნიშვნელოვანი ნაწილი ერთი კონკრეტული ტიპის დაფინანსების წყაროზე მაღალი დამოკიდებულებითაც ხასიათდებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი 2025 წელს ოპოზიციური პარტიების ძირითადი ნაწილის მიერ სახელმწიფო დაფინანსების დაკარგვა გახდა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ექვსი პოლიტიკური პარტიის დასაფინანსებლად გასული წლის განმავლობაში სულ 8.9 მლნ ლარი გაიცა, რომლის 68% „ქართულ ოცნებას“ ერგო. ამასთან, წლის ბოლოსათვის კიდევ უფრო შემცირდა სახელმწიფო დაფინანსების მიმღები პარტიების რიცხვი.
- 2025 წელს შემოწირულებები 21-მა პოლიტიკურმა პარტიამ მიიღო. შემოწირულებების ჯამური ოდენობა 27 მლნ ლარს აღემატებოდა, რომელთა 97% პარტიების ანგარიშებზე ფულადი სახით იქნა შეტანილი, ხოლო 3% - არაფულადი სახით. შემოწირულებების 67% ერთ პარტიაზე, „ქართულ ოცნებაზე“, მოდიოდა, რომელსაც გასული წლის განმავლობაში ფიზიკურმა პირებმა 18 მლნ ლარზე მეტი შესწირეს. შემოწირულებების ოდენობით (7.7 მლნ ლარი) მეორე ადგილი

„ძლიერმა საქართველომ“ დაიკავა, რომელიც 2.3-ჯერ ჩამორჩებოდა ლიდერ პოლიტიკურ პარტიას.

- „ქართულ ოცნებაში“ შემოწირულებების მნიშვნელოვანი ნაწილი მსხვილ დონორებზე მოდიოდა. 2025 წელს ერთმა შემომწირველმა, საშუალოდ, პარტიას 36,025 ლარი შესწირა. მათ შორის, „ქართული ოცნების“ ანგარიშზე 91-მა პირმა კანონით დაშვებული მაქსიმალური თანხა - 60 ათასი ლარი გადარიცხა (ჯამში 5.4 მლნ ლარი). ამ პირთაგან, 29 მათგანს 2025 წლამდე პარტიისთვის თანხა არ შეუწირავს, 62 პირს კი „ქართული ოცნებისთვის“ წინა წლებში ჯამში 10.7 მლნ ლარზე მეტი ჰქონდა შეწირული. მათ შორის გამოირჩევიან „ქართული ოცნების“ დამფუძნებელთან და საპატიო თავმჯდომარესთან, ბიძინა ივანიშვილთან, დაკავშირებული პირები და ბიზნესმენები, რომელთა ნაწილი 2012 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველიც იყო.

პოლიტიკური პარტიების 2025 წლის ხარჯები

- პოლიტიკური პარტიების ჯამურმა საკასო ხარჯმა 2025 წელს 46 მლნ ლარზე მეტი შეადგინა. მათ შორის, 23.8 მლნ ლარი (52%) „ქართულმა ოცნებამ“ დახარჯა, რომელსაც 9.3 მილიონამდე ლარის (20%) დანახარჯით „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო დაახლოებით 7.9 მლნ ლარით (17%) „ძლიერი საქართველო“ მოჰყვებოდნენ. ყველა სხვა პარტიამ ჯამურად პოლიტიკური გაერთიანებების წლიური საკასო ხარჯების მხოლოდ 11% გასწია.
- პარტიების საერთო ხარჯების უმეტესი ნაწილი რეკლამის (13.9 მლნ ლარი), შრომის ანაზღაურების (5.4 მლნ ლარი), იჯარისა (4.3 მლნ ლარი) და კაპიტალურ (9.4 მლნ ლარი) ხარჯებზე მოდიოდა. 2025 წლის საფინანსო დეკლარაციებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ასევე საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯების კატეგორიამ (2.8 მლნ ლარი) და ოფისის ხარჯებმა (1.9 მლნ ლარი).
- რეკლამაში დახარჯული თანხით ორი პარტია გამოირჩეოდა - „ქართული ოცნება“ (7.1 მლნ ლარი) და „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ (5.7 მლნ ლარი). „ქართული ოცნების“ სარეკლამო გასავალი 2025 წლის განმავლობაში მეტად სტაბილურობით ხასიათდებოდა, მაშინ, როდესაც „ძლიერმა საქართველომ“ და 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიებმა სარეკლამო ხარჯები ძირითადად საარჩევნო პერიოდში გასწიეს.
- იმ პოლიტიკურმა გაერთიანებებმა, რომლებმაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს, გასულ წელს რეკლამებში თითქმის 25-ჯერ მეტი თანხა (13.3 მლნ ლარი) დახარჯეს, ვიდრე იმ პარტიებმა, რომლებსაც არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ (543 ათასი ლარი).
- პოლიტიკური პარტიების 2025 წლის სარეკლამო ხარჯების 35% გარე რეკლამებზე მოდიოდა. ხარჯების ჯამური ოდენობით მეორე ადგილი ინტერნეტ რეკლამას (27%) ერგო, ხოლო მესამე ადგილი - სატელევიზიო რეკლამას (23%).
- გარე რეკლამაზე „ქართულმა ოცნებამ“ 2025 წელს 4.1 მილიონზე მეტი ლარის საკასო ხარჯი გასწია, რაც ყველა პოლიტიკური გაერთიანების მიერ ამ ტიპის რეკლამებზე დახარჯული თანხის 85%-ს შეადგენს. ძლიერმა საქართველომ“ რეკლამებისთვის განკუთვნილი თანხების უმეტესი ნაწილი - 56% - სატელევიზიო რეკლამებისთვის გამოიყენა. „ქართულ ოცნებას“ კი ფასიანი სატელევიზიო რეკლამით არ უსარგებლია.

- კადრების შენახვა და ადამიანური რესურსების დაფინანსება ძირითადად რამდენიმე მსხვილი პარტიის შესაძლებლობას წარმოადგენდა. შრომის ანაზღაურების კომპონენტში 2025 წელს ყველაზე დიდი დანახარჯი „ქართულ ოცნებასა“ (2.22 მლნ ლარი) და „ერთიანობა - ნაციონალურ მოძრაობას“ (2.02 მლნ ლარი) ჰქონდათ. 2025 წელს ფინანსური ბრუნვის მქონე 9 პარტიას შრომის ანაზღაურებაზე ხარჯი არ გაუწევია.
- საოფისე ფართების იჯარაზე გაწეული ხარჯები ძირითადად „ქართული ოცნების“ ხელში იყო კონცენტრირებული (2.19 მლნ ლარი), რომელსაც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ „ძლიერი საქართველო“ (დაახლოებით 986 ათასი ლარი) და „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ (479 ათასი ლარი); 25 პარტიიდან იჯარის ხარჯი მხოლოდ 12-მა გასწია.
- ოფისის მიმდინარე ხარჯების ორი მესამედი „ქართულ ოცნებაზე“ მოდიოდა (1.27 მლნ ლარი) და მკვეთრად აღემატებოდა სხვა პარტიების დანახარჯებს, რაც ორგანიზაციული რესურსების მნიშვნელოვან უთანასწორობაზე მიუთითებს.
- საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნისა და თარგმნის მომსახურების კატეგორიაზე პარტიების მიერ 2025 წელს გაწეული ხარჯების 87% „ერთიანობა - ნაციონალურ მოძრაობაზე“ მოდიოდა (2.46 მლნ ლარი), რაც კანონით განსაზღვრული მაქსიმალური ოდენობის ორ მესამედს აჭარბებდა.
- პოლიტიკური პარტიების მივლინებების ხარჯების 83% საზღვარგარეთ ვიზიტებს დაეთმო, ხოლო 17% - საქართველოს შიგნით მივლინებებს. ყველაზე მეტი თანხა - 270 ათასამდე ლარი - მივლინებებში „ერთიანობა - ნაციონალურმა მოძრაობამ“ დახარჯა, რომლის 99% პარტიის წარმომადგენელთა საგარეო ვიზიტების ფინანსური უზრუნველყოფისთვის იყო გათვალისწინებული.
- არაფინანსური აქტივების ზრდა მკვეთრად დომინირებული იყო „ქართული ოცნების“ მიერ (8.28 მლნ ლარი), რაც სხვა პარტიების შესაბამის ხარჯებს მრავალჯერ აღემატებოდა. არაფინანსური აქტივების ზრდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პარტიების ორგანიზაციულ შესაძლებლობებზე და მომავალ საქმიანობაზე, რის გამოც ამ მიმართულებით არსებული მკვეთრი სხვაობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პარტიებს შორის შესაძლებლობების უთანასწორობას.

3. პოლიტიკური პარტიების შემოსავლები

3.1. შემოსავლების სამართლებრივი რეგულირება

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, პოლიტიკური პარტიის ქონებას ქმნის საწევრო შენატანები, შემოწირულებები და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა (საბიუჯეტო დაფინანსება). საწევრო შენატანად მიიჩნევა პარტიის ანგარიშზე შეტანილი ის ფულადი თანხა, რომლის ზუსტი ოდენობაც დადგენილია შესაბამისი პოლიტიკური გაერთიანების წესდებით. ამასთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა თანხა პარტიების საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისა და პარტიული სისტემის განვითარებისთვის. სხვა ფულადი თანხა კი, რომელიც პარტიის ანგარიშზე ირიცხება, შემოწირულებად მიიჩნევა. ასევე, შემოწირულებად განისაზღვრება პარტიის მიერ უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/შეღავათიანი პირობით მიღებული მატერიალური ან

არამატერიალური ფასეულობა (მათ შორის, შეღავათიანი კრედიტი), პარტიის მხარდასაჭერად გაღებული ფულადი თანხა, უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/შეღავათიანი პირობით გაცემული მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა (მათ შორის, შეღავათიანი კრედიტი), მიუხედავად იმისა, იდენტიფიცირებადია თუ არა ასეთი თანხის, ფასეულობის ან/და მომსახურების მიმღები სუბიექტი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მომსახურება, რომელსაც მოხალისეობის ფარგლებში ნებაყოფლობით სწევს ფიზიკური პირი, შემოწირულებად არ მიიჩნევა. პარტიას უფლება აქვს, საქართველოს კომერციული ბანკისგან აიღოს კრედიტიც, რომლის საერთო ოდენობაც კალენდარული წლის განმავლობაში ერთ მილიონ ლარს არ აჭარბებს.[2]

საქართველოს კანონმდებლობით, დაუშვებელია შემოწირულების მიღება საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირისგან, იურიდიული პირისგან ან/და პირთა სხვა სახის გაერთიანებისგან, საჯარო დაწესებულებისგან ან სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების სისტემის შემადგენელი სუბიექტისგან. ამასთან ერთად, შემოწირულების განხორციელებისას საქართველოს მოქალაქემ უნდა მიუთითოს სახელი, გვარი და პირადი ნომერი. აღნიშნული მონაცემების მითითების გარეშე პარტიის ანგარიშზე შეტანილი ფულადი სახსრები ითვლება ანონიმურად, რაც კანონით დაუშვებელია და პოლიტიკური გაერთიანების საფინანსო საქმიანობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ დაუყოვნებლივ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვას ექვემდებარება.[3]

პარტიის შემოწირულებების შესახებ ინფორმაცია საჯაროა. აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2025 წლის განმავლობაში ანტიკორუფციული ბიურო უზრუნველყოფდა. 2026 წლის მარტიდან კი ეს ფუნქცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გადაეცა. პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობაზე პასუხისმგებელი ორგანო ვალდებულია, პარტიის შემოწირულებების შესახებ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობა ვებგვერდის მეშვეობით ყოველთვიურად უზრუნველყოს.[4] მას ყოველი წლის 1 თებერვლამდე პარტიები გასული წლის საფინანსო დეკლარაციასაც უგზავნიან. დეკლარაციაში აისახება პარტიის წლიური შემოსავალი, მათ შორის საწევრო შენატანების/შემოწირულებების ოდენობა და განმახორციელებელ პირთა ვინაობა, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები, აგრეთვე გასავალი და ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში.[5]

საქართველოს კანონმდებლობა აწესებს შეზღუდვებს შემოწირულებებისა და საწევრო შენატანების ოდენობასთან დაკავშირებითაც. კერძოდ, საქართველოს თითოეული მოქალაქისგან წლის განმავლობაში მიღებულ შემოწირულებათა საერთო ოდენობა 60,000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო პარტიის თითოეული წევრის მიერ განხორციელებული საწევრო შენატანების წლიური ოდენობა არ უნდა სცდებოდეს 1,200 ლარს. მოცემული შეზღუდვა ვრცელდება ყველა სახის შემოწირულებაზე, მათ შორის, პარტიის მიზნებისათვის და მისი სახელით გაწეულ მომსახურებებზე. პარტიის მიერ საწევრო შენატანები და შემოწირულებების სახით ფულადი სახსრების მიღება დაშვებულია მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით. ამასთან, შემოწირულება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში არსებული, შემომწირველის ან საწევრო შენატანის განმახორციელებელი პირის კუთვნილი ანგარიშიდან.[6]

[2] საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, მუხლი 25.
[3] საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, მუხლი 26.
[4] იქვე.
[5] საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, მუხლი 32.
[6] საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, მუხლი 27.

3.2. 2025 წლის შემოსავლების ოდენობა და წყაროები

2025 წელს პოლიტიკურ ფინანსებზე არათანაბარი წვდომა პარტიული პოლიტიკის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ანტიკორუფციულ ბიუროში 2025 წლის საფინანსო დეკლარაცია 44-მა პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა. მათ შორის, 19 პოლიტიკურ გაერთიანებას გასული წლის განმავლობაში ფინანსური ბრუნვა არ ჰქონია, ხოლო კიდევ 2 პარტიას შემოსავალი არ მიუღია. დანარჩენმა 23-მა პარტიამ 2025 წელს ჯამში 48,947,614 ლარის შემოსავალი მიიღო, რომლის 54% - 26,459,400 ლარი ერთ პარტიაზე - „ქართულ ოცნებაზე“ მოდიოდა. შემოსავლების 19% მიიღო „ერთიანობა - ნაციონალურმა მოძრაობამ“, 16% - „ძლიერმა საქართველომ“, 3% - „საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ“, 2% - პარტიამ „გახარია საქართველოსთვის“, ხოლო 5% ყველა სხვა პოლიტიკურმა გაერთიანებამ ერთად (იხილეთ დიაგრამა 1). ამასთან, აღსანიშნავია, რომ „ერთიანობა - ნაციონალურმა მოძრაობამ“ შემოსავლების 95%, ხოლო „რესპუბლიკურმა პარტიამ“ სრულად ოფისების გაყიდვიდან მიიღეს.



დიაგრამა 1. 2025 წლის ჯამური შემოსავლების ოდენობა

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

პოლიტიკური პარტიების ჯამური შემოსავლების 55% შემოწირულებებზე მოდიოდა, 18% სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსებაზე, ხოლო 27% - სხვა შემოსავლებზე. მათ შორის, საწევრო შენატანების წილმა პარტიების შემოსავლებში მხოლოდ 0.01% შეადგინა (იხილეთ დიაგრამა 2).



დიაგრამა 2. პოლიტიკური პარტიების 2025 წლის ჯამური შემოსავლების წყაროები

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

პარტიული ფინანსების ძირითადი სურათი ავლენს ერთწყაროიანი მოდელების დომინირებას და რეალურად დივერსიფიცირებული შემოსავლის სტრუქტურის იშვიათობას. მათ შორის, აღსანიშნავია ოპოზიციური პარტიების მაღალი დამოკიდებულება ერთი კონკრეტული სახის წყაროზე (იხილეთ დიაგრამა 3). პოლიტიკური გაერთიანებების უმეტესობამ შემოსავალი სრულად ან თითქმის სრულად ფულადი შემოწირულებების სახით მიიღო. ასევე, პარტიებმა „კონსერვატორები საქართველოსთვის“ და „ერი და სახელმწიფო“ შემოსავლების 99-დან 100 პროცენტამდე არაფულადი შემოწირულებების სახით მიიღეს. ამასთან ერთად, „გირჩის“ (95%), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსისა“ (80%) და პარტიის „გახარია საქართველოსთვის“ (74%) შემთხვევაში დომინანტურ ადგილს იკავებდა სახელმწიფო დაფინანსება. სრულად სხვა ფულადი შემოსავლებისგან იქნა შევსებული „საქართველოს რესპუბლიკური პარტიისა“ და „ევროპული საქართველოს“ ქონება. „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში შემოსავლების 95% ასევე სხვა ფულადი შემოსავლებისგან შედგებოდა. ზემოხსენებული პარტიებისგან განსხვავებით, „ქართული ოცნების“ შემთხვევაში შემოსავლების დივერსიფიცირებული სტრუქტურა გამოვლინდა, რაც მოიცავდა ფულად შემოწირულებებს (68%), სახელმწიფო დაფინანსებასა (23%) და არაფულად შემოსავლებს (9%).



დიაგრამა 3. 2025 წლის შემოსავლების წყაროების პროცენტული განაწილება პოლიტიკური პარტიების მიხედვით

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

3.3. საწევრო შენატანები

შესწავლილ პარტიებს შორის 2025 წელს საწევრო შენატანები მხოლოდ ერთმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ - „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“ მიიღო. პარტიის ანგარიშზე საწევრო შენატანი, ჯამურად - 4,973 ლარი, 57-მა პირმა შეიტანა. პარტიის თითო წევრის მიერ გადახდილი საწევრო შენატანის ოდენობა 25-დან 550 ლარამდე მერყეობდა, ხოლო საშუალო თანხამ 86 ლარი შეადგინა. ამასთან, ყველაზე ხშირად პარტიის ანგარიშზე საწევრო შენატანის სახით 50 ლარი (26 პირის მიერ) ჩაირიცხა.

3.4. შემოწირულებები

2025 წელს შემოწირულებები 21-მა პოლიტიკურმა პარტიამ მიიღო. შემოწირულებების ჯამურმა რაოდენობამ 27,011,002 ლარი შეადგინა, რომელთა 97% პარტიების ანგარიშებზე ფულადი სახით იქნა შეტანილი, ხოლო 3% არაფულად შემოწირულებას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ შემოწირულებების 67% ერთ პარტიაზე, „ქართულ ოცნებაზე“, მოდიოდა, რომელსაც გასული წლის განმავლობაში ფიზიკურმა პირებმა 18 მლნ ლარზე მეტი შესწირეს. შემოწირულებების ოდენობით (7.7 მლნ ლარი) მეორე ადგილი „ძლიერმა საქართველომ“ დაიკავა, რომელიც 2.3-ჯერ ჩამორჩებოდა ლიდერ პოლიტიკურ პარტიას (იხილეთ დიაგრამა 4).

დიაგრამა 4. პოლიტიკური პარტიების 2025 წლის შემოწირულებები

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

„ქართულ ოცნებაში“ შემოწირულებების მნიშვნელოვანი ნაწილი მსხვილ დონორებზე მოდიოდა. 2025 წელს ერთმა შემომწირველმა, საშუალოდ, პარტიას 36,025 ლარი შესწირა. მათ შორის, „ქართული ოცნების“ ანგარიშზე 91-მა პირმა კანონით დაშვებული მაქსიმალური თანხა - 60,000 ლარი გადარიცხა (ჯამში 5.4 მლნ ლარი). ამ პირთაგან, 29 მათგანს 2025 წლამდე პარტიისთვის თანხა არ შეუწირავს, 62 პირს კი „ქართული ოცნებისთვის“ წინა წლებში ჯამში 10,738,168 ლარი ჰქონდა შეწირული. მათ შორის გამოირჩევიან „ქართული ოცნების“ დამფუძნებელთან და საპატიო თავმჯდომარესთან, ბიძინა ივანიშვილთან, დაკავშირებული პირები და ბიზნესმენები. აღსანიშნავია,

რომ „ქართული ოცნების“ უმსხვილესი შემომწირველი ბიზნესმენების ნაწილი 2012 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველიც იყო (იხილეთ ცხრილი 1).

ცხრილი 1. „ქართული ოცნების“ უმსხვილესი შემომწირველები (ფიზიკური პირები, რომლებმაც „ქართულ ოცნებას“ 2025 წელს 60,000 ლარი შესწირეს, 2026 წლის 1 იანვრამდე პარტიისთვის სულ შეწირული თანხის მიხედვით)

#	შემომწირველი	„ქართული ოცნებისთვის“ სულ შეწირული თანხა	საქმიანობა (კუთვნილი კომპანიები)	წარსულში სხვა პოლიტიკური შემოწირულება
1	დავით ბალანჩივაძე	537,000 ₾	ბიზნესმენი (კუთვნილი კომპანიები: შპს ბლუ გოლდ, შპს ვილა აბასთუმანი, შპს მსაი-თრეიდინგი MSI-trading, შპს ტაბერნე (50%), შპს აგროშელი (33%), შპს B&B Trading (25%))	დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი - 60,000 ლარი (2018)
2	ნატო ხაინდრავა	477,600 ₾	ბანკი ქართუს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, სს ქართუ ჯგუფის გენერალური დირექტორი, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი ქართუს გამგეობის წევრი, სს საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, შპს ელიტა ბურჯის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი - 30,000 ლარი (2018); საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნება - 45,000 ლარი (2012)
3	გიორგი ჭყონია	461,000 ₾	ბიზნესმენი (კუთვნილი კომპანიები: შპს გზა, შპს გონიო ლაქშერი რეზიდენს, შპს თაუერ ჯგუფი პანორამა ლისი, შპს კაფე ცენტრალი, შპს სახლი ძველ ბათუმში, შპს შალე კვირიკე, შპს შატო კვირიკე, შპს ცენტრალ მენეჯმენტ გრუპ, ივერტრანსი (50%), შპს მეგობარი ბრანჩი (50%), შპს მობილია ბათუმი (50%), შპს ფიგოილი (50%), შპს დიდი სახლი (50%), შპს თ.გ. ჯგუფი (50%), შპს ბათუმი ცენტრალი (45%), შპს თაუერ გრუფი ურეკი (40%), შპს შენი სახლი (40%), შპს კოხი ჯგუფი (20%), შპს მეგობარი (20%), შპს კრიპტო ჰოუმ (15%), შპს კრიპტო ჰოუმ მენეჯმენტ (10%), შპს მაისი 2020 (10%))	დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი - 60,000 ლარი (2018); საქართველო არ იყიდება - 60,000 ლარი (2012)
4	გიორგი აბრამიშვილი	418,000 ₾	ბიზნესმენი (კუთვნილი კომპანიები: შპს ალმენდინგერი, შპს ბილდი, შპს ვერტექსი, შპს კოხტა, შპს ნიუ მოტორსის გალერეა,შპს ნიუ-მოტორსი, შპს ქართული მოცვი, შპს ჰიდრომატიკა 1 (85%), შპს ჰიდრომატიკა 2 (85%), შპს ვერტა გრუპ (40%), შპს საბა +++ (33%), შპს GLOBAL DEFENSE GROUP (25%))	დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი - 60,000 ლარი (2018)
5	დავით ბალაძე	418,000 ₾	ბიზნესმენი (კუთვნილი კომპანიები: შპს თრასთ სოლუშენ, შპს ჰ08 (50%), შპს იმპულსი (50%))	საქართველო არ იყიდება - 4,000 ლარი (2012)
6	კახაბერი ლატარია	410,000 ₾	ბიზნესმენი (კუთვნილი კომპანიები: შპს ჯორჯიან დეველოპმენტი 2023, შპს იკდ გრუპ, შპს ლაქშერი ჰაუს (50%), შპს პოლი არომატ (50%), შპს ჯ.ფ.კ. (50%), შპს კცფ ინტერნეიშენალ (33.4%), ნიუ ფრი (33%), შპს KOLKHITRANS (33%), შპს ეგრისი + (33%), შპს ლა ეკო (33%), შპს აისბერგი 2 (25%), შპს ევრო ტესტი (25%), შპს ჩელა (25%), შპს ჯეონათსი (25%), შპს ფოთიოილი (20%), შპს Gcm Service (18%), შპს Geo Capital Management (18%), შპს აისბერგ ტრეიდინგ (16.6%), შპს ინვესტ გრუპ ჯორჯია (10%), შპს ც+ჰ უნივერსალი (10%), შპს გეოფიშ კომპანი (1.5%)), სს ფოთი ტრანსტერმინალის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, საქართველოს თევზის მომპოვებელ ლიცენზიანტთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს ეი ჯი ეს ჯგუფის გენერალური დირექტორი	დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი - 60,000 ლარი (2018); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 60,000 ლარი (2012)
7	გია ანდღულაძე	397,000 ₾	ბიზნესმენი (კუთვნილი კომპანიები: შპს არტპალასის სახელოსნოები, შპს იბერია 2020 კორპორეიშენ, შპს დოლაბაური (25%), შპს ლილო-მოლი (14.285%))	დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი - 60,000 ლარი (2018); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 30,000 ლარი (2012)
8	ვაჟა უსანეთაშვილი	396,000 ₾	ბიზნესმენი (კუთვნილი კომპანიები: შპს ოვალი (70%), შპს მოლი (60%), შპს სამყარო (60%), შპს Georgian	დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი - 60,000

#	შემომწირველი	„ქართული ოცნებისთვის“ სულ შეწირული თანხა	საქმიანობა (კუთვნილი კომპანიები)	წარსულში სხვა პოლიტიკური შემოწირულება
			Transit Service (50%), შპს სინენსის (50%), შპს არსაკიძე-2000 (49.995%), შპს რივა (49.98%), შპს ვაგი (33.34%), შპს დოლაბაური (25%), შპს უნივერსალ ტრანზიტ სერვის (25%), შპს ბ/ვ ჰოლდინგ ქორფორეიშენ (12.25%), შპს ლილო-მოლი (1.5%))	ლარი (2018); გულო ზუმბაძე დამოუკიდებელი კანდიდატი - 10,010 ლარი (2017); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 30,000 ლარი (2012)
9	ალექსანდრე ივანიშვილი	395,767.74 ₾	ბიზნესმენი, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის, ძმა (კუთვნილი კომპანიები: შპს პროფ ჯორჯიან გრუპი (50%), შპს ტორნადო + (39.5%), შპს აისი ინკ (33%), შპს დუგლაძეების ღვინის კომპანია (25.66%), შპს ვაზიანი XXI (13%), შპს ეფ ენდ კომპანი (12.5%))	დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი - 45,000 ლარი (2018); საქართველოს რესპუბლიკური პარტია - 20,000 ლარი (2012); თავისუფალი დემოკრატები - 20,000 ლარი (2012); ეროვნული ფორუმი - 20,000 ლარი (2012)
10	ილია შონია	394,000 ₾	ბიზნესმენი (კუთვნილი კომპანიები: შპს კალასი პლიუსი, შპს ტაო 2052 (50%), შპს იგ გეორგიან ბიო ეკო პროდუქტს (50%), შპს რივა (33.36%), შპს ვაგი (33.33%), საქართველო-ტაილანდის სავაჭრო კომპანია (33%), შპს GEORGIAN BIO PRODUCTS (25%), შპს ბ/ვ ჰოლდინგ ქორფორეიშენ (12.25%), შპს ეი ბი ჯი კონსალტინგი (8.57%), შპს ლილო-მოლი (2%))	დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი - 60,000 ლარი (2018); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 30,000 ლარი (2012)
11	გიორგი გაგუა	387,000 ₾	ბიზნესმენი (კუთვნილი კომპანიები: შპს ვაინვორლდ2022, შპს სევსამორა, შპს სევსამორა მენეჯმენტ, შპს სევსამორა ვაინერი, შპს სევსამორა გი და გო (50%), შპს სევსამორა ვილა (50%), შპს თ.გ (50%), შპს იგ გეორგიან ბიო ეკო პროდუქტს (50%), შპს გ.თ (50%), შპს რევაზ ლაღიძის 2 (50%), შპს ხერკი (50%), შპს ჯორჯია ჩერამიკე არტისტიკე (46%), შპს GEORGIAN BIO PRODUCTS (25%), შპს ალიანსი (25%), შპს კრეატივ ედსი (25%), შპს ტერამიკა (20%), შპს ბ/ვ ჰოლდინგ ქორფორეიშენ (12.25%), შპს დოლაბაური (25%), შპს ლილო-მოლი (11.285%))	დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი - 60,000 ლარი (2018); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 30,000 ლარი (2012)
12	ირაკლი თოფაძე	370,000 ₾	ბიზნესმენი (კუთვნილი კომპანიები: შპს თბილარომა (50%), შპს ყაზბეგი ლიმონათი (50%), შპს იღბალი 2023 (50%), შპს ცხრაწყარო-2007 (35%), შპს ჰოლდინგი ქართული მინა (33%), შპს ყაზბეგი-ფშაველი (31.75%), შპს ცხრაწყარო-2022 (25%), შპს ნეკერჩხალი (25%), შპს თრიალეთი (20%), შპს ზამექს პრინტი (20%), შპს ყაზბეგი 1881 (15.4%), შპს ყაზბეგი 2005 (15%), შპს ფშაველი ყაზბეგი (15%), შპს თრუსო (10%), შპს CALWE (10%), შპს ქართუ-უნივერსალი (9%), შპს ყაზბეგი ტობაკო (7.7%), შპს თოფაძე და კომპანია (6%), შპს ყაზბეგი-კრწანისი (5%), შპს ყაზბეგი-ვერე (2%))	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს - 14,992 ლარი (2013)
13	გივი ლებანიძე	366,800 ₾	სს ბანკი ქართუს გენერალური დირექტორის მოადგილე, სს დაზღვევის კომპანია ქართუს ფინანსური დირექტორი	დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი - 25,000 ლარი (2018)
14	ზურაბ ჩხაიძე	300,000 ₾	ბიზნესმენი (კუთვნილი კომპანიები: შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა, შპს მთაწმინდა პანორამა, შპს პრემიერ რეზიდენს საგურამო, შპს არტ-რუსთავი, შპს გურამიშვილის მარანი, შპს გურული ნენა, შპს ვარციხე გროუფ, შპს გროსს ტურ ჯორჯია (55%), შპს გრანდ ცენტრი 2014 (50%), შპს ქართული სული (34%), შპს ზიკ ქონსთრაქშენი (33%), შპს ზ.გ.გ.ლ კაპიტალი (25%), შპს კიდობანი 2 (14.4%))	-
15	ბესიკ ჟღენტი	298,000 ₾	ბიზნესმენი (კუთვნილი კომპანიები: შპს გორგასალის 94 (50%), შპს მერი-2007 (50%), შპს საბ ინთერნეიშენალ (33%), შპს მომავლის სახლი (25%), შპს ალიანს ლისი (16.7%), შპს ალიანსი ფრივილიჯი (16%), შპს ალიანსი (15%), შპს ალიანს ვილა დეველოპმენტ (2%)	-

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური & companyinfo.ge

პოლიტიკური პარტიების 2025 წლის შემოწირულებებს შორის, არაფულადი შემოწირულებების ჯამურმა ოდენობამ 705,479 ლარი შეადგინა. ანტიკორუფციულ ბიუროში წარდგენილი საფინანსო დეკლარაციების მიხედვით, ამ ტიპის შემოწირულება რვა პოლიტიკურ პარტიას ჰქონდა მიღებული. მათ შორის, ყველაზე მეტი არაფულადი შემოწირულება „ძლიერმა საქართველომ“ მიიღო, რომლის ოდენობამ 189,505 ლარი შეადგინა და მოიცავდა კამერების, საოფისე ფართების, სოციალურ ქსელში რეკლამის, მივლინების ხარჯების ღირებულებას და სხვ. „ძლიერმა საქართველომ“ არაფულადი შემოწირულების უმეტესი ნაწილი მოძრავი ქონების სახით მიიღო, პარტიამ „კონსერვატორები საქართველოსთვის“ - უძრავი ქონების სახით, ხოლო სხვა პარტიებმა სხვა ტიპის არაფულადი შემოწირულების სახით (იხილეთ დიაგრამა 5).



დიაგრამა 5. პოლიტიკური პარტიების 2025 წლის არაფულადი შემოწირულებები

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

3.5. სახელმწიფო დაფინანსება

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხას იღებს პარტია, რომელმაც საქართველოს პარლამენტის ბოლო არჩევნებში ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1% მაინც მიიღო. ამასთან, პოლიტიკური პარტია კარგავს საბიუჯეტო დაფინანსებას, თუ ამ პარტიის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა ნახევარს მაინც ვადამდე შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება და შეუძლებელია მისი/მათი ადგილმონაცვლე იმდენი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობა, რომ აღნიშნული პარტიის წარდგენით არჩეულ დეპუტატთა რაოდენობა იმავე პარტიის მიერ მიღებული პარლამენტის წევრთა მანდატების ნახევარზე მეტი იყოს. აგრეთვე,

პარტიას შეუჩერდება საბიუჯეტო დაფინანსება ექვსი თვით, თუ მისი წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტი საკანონმდებლო ორგანოს წინა მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომების ნახევარზე მეტს.[7]

ბოლო, 2024 წლის, საპარლამენტო არჩევნების შედეგად საბიუჯეტო დაფინანსების მიღების უფლება შვიდმა პარტიამ მოიპოვა, თუმცა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“ პარლამენტის ბოიკოტირების მოტივით უარი განაცხადა დაფინანსების მიღებაზე, კიდევ ორმა პარტიამ „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ და „ძლიერმა საქართველომ“ დაფინანსების მიღების უფლება მალევე საპარლამენტო მანდატების გაუქმების შედეგად დაკარგეს. ამასთანავე, პარტიას „გახარია საქართველოსთვის“ დაფინანსება, პარლამენტის სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენის საფუძვლით, 6 თვით შეუჩერდა. შედეგად, გასული წლის მიმდინარეობისას სახელმწიფო დაფინანსების მიმღები პარტიების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

არსებული წესის შედეგად რელევანტური პარტიების სახელმწიფო დაფინანსების გარეშე დარჩენამ გააღრმავა პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის არსებული ფინანსური უთანასწორობა და შეამცირა პოლიტიკური პლურალიზმის სივრცე. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ექვსი პოლიტიკური პარტიის დასაფინანსებლად 2025 წელს სულ 8,922,260 ლარი გაიცა, რომლის 68% „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო (იხილეთ დიაგრამა 6).



დიაგრამა 6. პოლიტიკური პარტიების მიერ 2025 წელს მიღებული სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსება

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

3.6. სხვა შემოსავლები

პოლიტიკურმა პარტიებმა 10,527,090 ლარის სხვა ფულადი შემოსავლებიც მიიღეს, რაც ძირითადად შენობის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს წარმოადგენდა. მათ შორის, „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ შემოსავალმა 9 მილიონამდე ლარი შეადგინა, ხოლო „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ შემთხვევაში - დაახლოებით 1.5 მლნ ლარი (იხილეთ დიაგრამა 7).

[7] საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, მუხლი 30.

დიაგრამა 7. პოლიტიკური პარტიების 2025 წლის სხვა ფულადი შემოსავლები

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

არაფულადი შემოსავლების ოდენობით „ქართული ოცნება“ გამოირჩეოდა. გასული წლის განმავლობაში პარტიამ 2,355,225 ლარის ღირებულების არაფულადი შემოსავალი მიიღო, რაც ყველა პარტიის მიერ მიღებული არაფულადი შემოსავლების 79%-ს შეადგენს (იხილეთ დიაგრამა 8).



დიაგრამა 8. პოლიტიკური პარტიების 2025 წლის არაფულადი შემოსავლები (შემოწირულებების გარდა)

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

4. პოლიტიკური პარტიების ხარჯები

4.1. ხარჯების საკანონმდებლო რეგულირება

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიების ხარჯების ზღვრულ ოდენობებს. კერძოდ, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, პარტიის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობა საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.04%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთან ერთად, აღნიშნულ ოდენობაში შედის საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ სხვა პირის მიერ გაწეული ხარჯებიც, რომლებიც დადგენილია მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ და რომელთა შესახებაც ეცნობება შესაბამის საარჩევნო სუბიექტს. კანონმდებლობა აწესებს შეზღუდვას საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე გაწეული ხარჯის ოდენობასთან

დაკავშირებითაც, რაც არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი ხარჯის დადგენილი ზღვრული ოდენობის 10%-ს.[8]

2025 წელს პარტიებისთვის კანონით დაშვებული მაქსიმალური წლიური ხარჯის ოდენობა 36,756,720 ლარს უტოლდებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ ზღვარს არცერთი პოლიტიკური პარტიის დეკლარირებული ხარჯების ოდენობა არ მიახლოებია. ამასთან, „ქართულმა ოცნებამ“ კანონით დაშვებული ხარჯების მაქსიმალური ოდენობის 65% აითვისა, მაშინ, როდესაც დანახარჯების ოდენობით მეორე ადგილზე მყოფი პარტიის („ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“) შემთხვევაში ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 25% შეადგინა.

4.2. 2025 წლის ხარჯების ოდენობა და სტრუქტურა

ანტიკორუფციულ ბიუროში 44 პოლიტიკური გაერთიანების მიერ წარდგენილ წლიურ საფინანსო დეკლარაციებს შორის 2025 წლის განმავლობაში ხარჯების გაწევა 25 პარტიის შემთხვევაში ფიქსირდება. მოცემული პარტიების ჯამურმა საკასო დანახარჯმა გასულ წელს 46,114,243 ლარი შეადგინა. მათ შორის, 23.8 მლნ ლარი (52%) „ქართულმა ოცნებამ“ დახარჯა, რომელსაც 9.3 მილიონამდე ლარის (20%) დანახარჯით „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო დაახლოებით 7.9 მლნ ლარით (17%) „ძლიერი საქართველო“ მოჰყვებოდნენ. ყველა სხვა პარტიამ ჯამურად პოლიტიკური გაერთიანებების წლიური საკასო დანახარჯების მხოლოდ 11%-ის ხარჯი გასწია (იხილეთ დიაგრამა 9).

დიაგრამა 9. პოლიტიკური პარტიების 2025 წლის საკასო ხარჯების ოდენობა

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

[8] საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, მუხლი 25[1].

პარტიების საერთო ხარჯების უმეტესი ნაწილი რეკლამის, შრომის ანაზღაურების, იჯარისა და კაპიტალურ ხარჯებზე მოდიოდა. 2025 წლის საფინანსო დეკლარაციებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ასევე საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯების კატეგორიამ და ოფისის ხარჯებმა (იხილეთ ცხრილი 2).

ცხრილი 2. პოლიტიკური პარტიების 2025 წლის გადასახდელები კატეგორიების მიხედვით

კატეგორია	ჯამური თანხა	წილი
რეკლამის ხარჯი	13,881,388 ₾	30.10%
შრომის ანაზღაურება	5,420,709 ₾	11.75%
იჯარის ხარჯი	4,273,401 ₾	9.27%
საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯები	2,837,674 ₾	6.15%
ოფისის ხარჯები	1,911,373 ₾	4.14%
მივლინებები	530,584 ₾	1.15%
კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებები	248,238 ₾	0.54%
სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების მოწყობის ხარჯები	246,850 ₾	0.54%
პირებისთვის მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების გადაცემა	207,907 ₾	0.45%
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	207,477 ₾	0.45%
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	105,949 ₾	0.23%
წარმომადგენლობითი ხარჯები	52,647 ₾	0.11%
შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი	47,603 ₾	0.10%
ბანკის მომსახურების ხარჯი	23,957 ₾	0.05%
კვების ხარჯები	6,880 ₾	0.01%
სამედიცინო ხარჯები	30 ₾	0.00%
სხვა ხარჯები (მათ შორის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება)	6,539,670 ₾	14.18%
არაფინანსური აქტივების ზრდა	9,427,074 ₾	20.44%
ვალდებულებების კლება	148,822 ₾	0.32%

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

„ქართული ოცნების“, „ძლიერი საქართველოს“, „ხალხის ძალის“, „თავისუფალი საქართველოს“, აგრეთვე, პარტიების „გახარია საქართველოსთვის“ და „ანა დოლიძე - ხალხისთვის“ უმსხვილესი ხარჯი 2025 წლის განმავლობაში სარეკლამო დანახარჯებს მოიცავდა; პოლიტიკურმა გაერთიანებამ „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“, „საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ“ და „ფედერალისტებმა“ ყველაზე მეტი თანხა ოფისების იჯარისთვის დახარჯეს, „საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ“ და „ევროპულმა საქართველომ“ - შრომის ანაზღაურებაში, „ერთიანობა - ნაციონალურმა მოძრაობამ“ - საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურებაში, „გირჩმა“ - კულტურულ/სპორტულ/ საგანმანათლებლო/საგამოფენო ღონისძიებებში „საქართველოს ევროპელმა დემოკრატებმა“ და „საქართველოს კონსერვატიულმა პარტიამ“ კი - მივლინებებში. „საქართველოს მწვანეთა პარტიამ“ 2025 წელს მხოლოდ სარეკლამო ხარჯები გასწია, ხოლო პარტიამ „ერი და სახელმწიფო“ მხოლოდ ყრილობის მოწყობის ხარჯები დაფარა (იხილეთ დიაგრამა 10).



დიაგრამა 10. პოლიტიკური პარტიების 2025 წლის ხარჯების სტრუქტურა (არაფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების გარეშე)

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

4.3. რეკლამის ხარჯები

2025 წელს რეკლამებზე დახარჯული თანხის ოდენობით ორი პოლიტიკური გაერთიანება - „ქართული ოცნება“ და „ძლიერი საქართველო“ - გამოირჩეოდა (იხილეთ დიაგრამა 11). ამასთან, „ძლიერმა საქართველომ“ რეკლამებისთვის საარჩევნო კამპანიის ფონდიდან უფრო მეტი თანხა დახარჯა (5.4 მლნ ლარი), ვიდრე „ქართულმა ოცნებამ“ (3.3 მლნ ლარი). ამ უკანასკნელის სარეკლამო გასავალი წლის განმავლობაში მეტად სტაბილურობით ხასიათდებოდა, მაშინ, როდესაც მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიებმა სარეკლამო ხარჯები ძირითადად საარჩევნო პერიოდში გასწიეს. საარჩევნო კამპანიის ფონდიდან „ქართული ოცნების“ 2025 წლის საკასო სარეკლამო ხარჯების მხოლოდ 47% იქნა დაფარული, არჩევნებში მონაწილე ოპოზიციური პარტიების შემთხვევაში კი ამ მაჩვენებელმა 99% შეადგინა.



დიაგრამა 11. პოლიტიკური პარტიების 2025 წლის სარეკლამო ხარჯები

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

იმ პოლიტიკურმა გაერთიანებებმა, რომლებმაც 2025 წლის 4 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობდნენ, გასულ წელს რეკლამებში თითქმის 25-ჯერ მეტი თანხა დახარჯეს, ვიდრე იმ პარტიებმა, რომლებსაც არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ (იხილეთ დიაგრამა 12).



დიაგრამა 12. პოლიტიკური პარტიების 2025 წლის სარეკლამო დანახარჯები არჩევნებში მონაწილეობის მიხედვით

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

პოლიტიკური პარტიების 2025 წლის სარეკლამო ხარჯების 35% გარე რეკლამებზე (ბილბორდი, ლაით ბოქსი, ქუჩაში დამონტაჟებული ეკრანი, სატრანსპორტო საშუალებებზე განთავსებული რეკლამა ან/და სხვა) მოდიოდა. ხარჯების ჯამური ოდენობით მეორე ადგილი ინტერნეტ რეკლამას (27%) ერგო, ხოლო მესამე ადგილი - სატელევიზიო რეკლამას (23%) (იხილეთ დიაგრამა 13).



დიაგრამა 13. პოლიტიკური პარტიების 2025 წლის სარეკლამო ხარჯების სტრუქტურა

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

გარე რეკლამაზე „ქართულმა ოცნებამ“ 2025 წელს 4.1 მილიონზე მეტი ლარის საკასო ხარჯი გასწია, რაც ყველა პოლიტიკური გაერთიანების მიერ ამ ტიპის რეკლამებზე დახარჯული თანხის 85%-ს შეადგენს. გარე რეკლამის მასშტაბური გამოყენება მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წინ ქმნიდა „ქართული ოცნების“ მუდმივ დომინანტურ ხილვადობას, რასაც ოპოზიციური პარტიები სათანადო კონკურენციას ვერ უწევდნენ (იხილეთ დიაგრამა 14).

დიაგრამა 14. პოლიტიკური პარტიების 2025 წლის გარე რეკლამის ხარჯები

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

„ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, რომელმაც სარეკლამო ხარჯების 58% გარე რეკლამებს დაუთმო, „ძლიერმა საქართველომ“ რეკლამებისთვის განკუთვნილი თანხების უმეტესი ნაწილი - 56% - სატელევიზიო რეკლამებისთვის გამოიყენა. აღსანიშნავია, რომ „ქართულ ოცნებას“ ფასიანი სატელევიზიო რეკლამით არ უსარგებლია. სარეკლამო დანახარჯების ნახევარზე მეტი გარე რეკლამებზე მიმართა პარტიამ „გახარია საქართველოსთვის“. სხვა პოლიტიკური პარტიების სარეკლამო კამპანია კი შედარებით დაბალი ღირებულების რეკლამის სახეებზე გაწეული ხარჯებით

შემოიფარგლებოდა, მათ შორის ძირითადად ბეჭდური და ინტერნეტ რეკლამებით (იხილეთ დიაგრამა 15).



დიაგრამა 15. 2025 წლის სარეკლამო ხარჯების სტრუქტურა პოლიტიკური პარტიების მიხედვით

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

4.4. სხვა ხარჯები

პოლიტიკური პარტიების ნაწილის საფინანსო დეკლარაციებში მნიშვნელოვანი მოცულობის თანხები ფიქსირდება სხვა ხარჯებშიც, რაც მოიცავს შრომის ანაზღაურებას, ოფისისა და იჯარის ხარჯებს, საკონსულტაციო-საექსპერტო მომსახურებასა და მივლინებებს. წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, რომ აღნიშნული კატეგორიების ხარჯები მკვეთრად კონცენტრირებული იყო რამდენიმე მსხვილ პოლიტიკურ პარტიაზე, რაც საერთო ფინანსური უთანასწორობის ტენდენციას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

კადრების შენახვა და ადამიანური რესურსების დაფინანსება ძირითადად რამდენიმე მსხვილი პარტიის შესაძლებლობას წარმოადგენდა. შრომის ანაზღაურების კომპონენტში 2025 წელს ყველაზე დიდი დანახარჯი „ქართულ ოცნებას“ (2.22 მლნ ლარი) და „ერთიანობა - ნაციონალურ მოძრაობას“ (2.02 მლნ ლარი) ჰქონდათ. მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა „ძლიერი საქართველო“ 328 ათასი ლარის დანახარჯით. შედარებით მცირე პარტიებს შორის აღსანიშნავია „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“ და „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“, რომლებმაც ხარჯების

არაპროპორციულად დიდი ნაწილი ხელფასებსა და პრემიებს დაუთმეს. სხვა პარტიებში შრომის ანაზღაურების ხარჯები გაცილებით მცირე იყო ან საერთოდ არ ყოფილა წარმოდგენილი (იხილეთ დიაგრამა 16). მათ შორის, 9 პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც 2025 წელს ფინანსური ბრუნვა გააჩნდა, ანტიკორუფციულ ბიუროში წარდგენილი წლიური საფინანსო დეკლარაციის მიხედვით, ამ ტიპის ხარჯები არ გაუწევია.



დიაგრამა 16. 2025 წელს პოლიტიკური პარტიების მიერ შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

იჯარის ხარჯების ანალიზი აჩვენებს ქვეყნის მასშტაბით პარტიული ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის კონცენტრაციას ძირითადად „ქართული ოცნების“ ხელში. მოცემულმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ ოფისებისა და სხვა ფართების იჯარაზე 2.19 მლნ ლარი დახარჯა. მას მოსდევდნენ „ძლიერი საქართველო“ თითქმის 986 ათასი ლარით და „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ 479 ათასი ლარით. სხვა პარტიების იჯარის ხარჯები შედარებით მცირე იყო, რაც მიუთითებს, რომ ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურის შენარჩუნება ძირითადად ფინანსურად შედარებით ძლიერ პარტიებს შეეძლოთ (იხილეთ დიაგრამა 17). აღსანიშნავია, რომ იმ 25 პოლიტიკურ გაერთიანებას შორის, რომელსაც გასული წლის განმავლობაში ფინანსური ბრუნვა უფიქსირდებოდა, იჯარის საკასო ხარჯი მხოლოდ 12-მა პარტიამ გასწია.



დიაგრამა 17. 2025 წელს პოლიტიკური პარტიების მიერ იჯარაზე გაწეული ხარჯები

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

პარტიების ოფისის ხარჯების (საკანცელარიო საქონლის, საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის, დამონტაჟებისა და მოვლა-შენახვის, საოფისე ავეჯის, შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის, კავშირგაბმულობის, საფოსტო მომსახურების, კომუნალური და სხვა ხარჯები) ორი მესამედი „ქართულ ოცნებაზე“ მოდიოდა (1.27 მლნ ლარი), რომელსაც მკვეთრად ჩამორჩებოდნენ „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ (223 ათასი ლარი), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ (153 ათასი ლარი), „ძლიერი საქართველო“ (104 ათასი ლარი) და სხვა პარტიები. პარტიების უმრავლესობის შემთხვევაში გასული წლის განმავლობაში ოფისის ხარჯები რამდენიმე ათას ლარს არ აღემატებოდა, რაც მათი საქმიანობის მასშტაბისა და რესურსების შეზღუდულობას და პარტიებს შორის შესაძლებლობების უთანასწორობას ასახავს (იხილეთ დიაგრამა 18).



დიაგრამა 18. პოლიტიკური პარტიების 2025 წლის ოფისის ხარჯები

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნისა და თარგმნის მომსახურებაზე ხარჯები 2025 წელს მხოლოდ რვა პარტიამ გასწია. ჯამურად ამ კატეგორიის დანახარჯები 2.8 მლნ ლარს აჭარბებდა, რომლის 87% „ერთიანობა - ნაციონალურ მოძრაობაზე“ მოდიოდა (2.46 მლნ ლარი). აღსანიშნავია, რომ მოცემულ კატეგორიაში პარტიის მიერ დახარჯული თანხის ოდენობა საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის კანონით განსაზღვრული მაქსიმალური თანხის (3,675,672 ლარი) ორ მესამედს აღემატებოდა. სხვა პარტიებს შორის გამოირჩეოდა „ძლიერი საქართველო“, რომელმაც აღნიშნულ მომსახურებაზე 352 ათას ლარზე მეტი გაიღო (იხილეთ დიაგრამა 19).



დიაგრამა 19. 2025 წელს პოლიტიკური პარტიების მიერ საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

მივლინებების საკასო ხარჯი მხოლოდ ცხრა პოლიტიკური პარტიის 2025 წლის საფინანსო დეკლარაციაში ფიქსირდება. მოცემული ხარჯების 83% საზღვარგარეთ ვიზიტებისთვის იქნა გაწეული, ხოლო 17% საქართველოს შიგნით მივლინებებისთვის. ამასთან, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ და „საქართველოს კონსერვატიულმა პარტიამ“ სამივლინებო ხარჯებით სრულად ქვეყნის ფარგლებში განხორციელებული მივლინებები დაფარეს, მაშინ, როდესაც ყველა სხვა პარტიის შემთხვევაში მივლინებაზე გაწეული ხარჯები სრულად ან თითქმის სრულად საგარეო ვიზიტებზე მოდიოდა. ყველაზე მეტი თანხა, 270 ათასამდე ლარი, მივლინებებში გასულ წელს „ერთიანობა - ნაციონალურმა მოძრაობამ“ დახარჯა, რომელსაც მოსდევდნენ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ (80.1 ათასი ლარი), „ძლიერი საქართველო“ (76.7 ათასი ლარი), „გახარია საქართველოსთვის“ (62.4 ათასი ლარი) და სხვა პარტიები (იხილეთ დიაგრამა 20).



დიაგრამა 20. პოლიტიკური პარტიების 2025 წლის მივლინებების ხარჯები

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026

პოლიტიკური პარტიების დეკლარაციებში ცალკე გამოიყოფა არაფინანსური აქტივების ზრდა, რაც მოიცავს ისეთი ქონების შეძენასა და გაუმჯობესებას, როგორიცაა ოფისები, ტექნიკა, ავეჯი და სხვა მატერიალური რესურსები, რომლებიც პარტიების გრძელვადიან საქმიანობას ემსახურება.

წარმოდგენილი მონაცემები ამ მიმართულებით რესურსების მკვეთრ კონცენტრაციას აჩვენებს „ქართული ოცნების“ ხელში, რომლის არაფინანსური აქტივების ზრდა 2025 წელს 8.28 მლნ ლარს უტოლდებოდა და ამ კატეგორიაში დანარჩენი პარტიების ხარჯებს მრავალჯერ აღემატებოდა. არაფინანსური აქტივების ზრდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პარტიების ორგანიზაციულ შესაძლებლობებზე და მომავალ საქმიანობაზე, რის გამოც ამ მიმართულებით არსებული მკვეთრი სხვაობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პარტიებს შორის ფინანსური შესაძლებლობების უთანასწორობას (იხილეთ დიაგრამა 21).



დიაგრამა 21. პოლიტიკური პარტიების 2025 წლის არაფინანსური აქტივების ზრდა

წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2026